სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/21

ქ. თბილისი 15 მაისი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2026 წლის 15 მაისის №0000577149 და №0000576756 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 15 მაისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2026 წლის 15 მაისის №0000577149 და №0000576756 წერილებით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად;
2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 მაისიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**